

მაკა ლაბარტყავა

ბარბარიზმებისათვის თანამედროვე ქართულში

ლექსიკური ერთეულების სესხება ხდება ხალხთა, სახელმწიფოთა პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის დროს. ეს ურთიერთობა შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან ძალმომრეობითი. ქართულ ენაში ასახულია ერთი და მეორეც...

სესხება ხდება, ჩვეულებრივ, პირდაპირ ენათა უშუალო კონტაქტის გზით, ან არაპირდაპირ – სხვა ენის მეშვეობით. უკანასკნელ შემთხვევაში ნასესხები სიტყვა დაქვემდებარებულია შუამავალი ენის ნორმებს და ხშირად სახეცვლილია. არის შემთხვევები, როდესაც სიტყვა რამდენიმე ენაში გაივლის და შემდეგ სხვა სახითა და შინაარსით უბრუნდება „მშობელ“ ან „შუამავალ“ ენას“, – შენიშნავს ვარლამ თოფურია.

ცნობილია, რომ ბარბარიზმი აღნიშნავს ამა თუ იმ ენაში უცხო ენიდან გაუმართლებლად, „ბარბაროსულად“ შემოჭრილ სიტყვას. გასულ საუკუნეში ასეთი კვალიფიკაცია ძირითადად ეძლეოდა რუსულის გავლენით გავრცელებულ ლექსიკურ ერთეულებს: **პოლი, სტანცია, სპიჭვა, ზოჭვა...** საზოგადოდ – შეიძლება ითქვას, რომ ბარბარიზმია ყველა უცხო სიტყვა, რომლის საჭიროებაც ენაში არ არსებობს (შესაბამისი შინაარსის მქონე სიტყვის ენაში უკვე არსებობის გამო), ანდა – რომლის გამოყენებაც ჯერ სპეციალისტების მიერ არ არის „სანქცირებული“.

ავთანდილ არაბული აღნიშნავს, რომ ნორმატიული დამოკიდებულება სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენობრივი წარმონაქმნების მიმართ ერთგვაროვანი არ არის. ბარბარიზმების პრობლემა უფრო მძაფრად აღიქმება „დამპყრობელი ენის“ მიმართ, ვიდრე ენათა კულტურული ურთიერთობის დროს.

განვიხილავთ რამდენიმეს:

სიტყვა **ბასანოკვი** რუსულიდან შემოსული ბარბარიზმია. დღემდე ეს სიტყვა სწორედ ამ ფორმით – **ბასანოკვი (ზოსონოკვი)** გამოიყენება ცოცხალ მეტყველებასა თუ თანამედროვე ქართულ მწერლობაში, მაგ.: „იყიდება მაღალქუსლიანი თეთრი **ზოსონოკვი**

ნახევარ ფასად“; „გაფრთხილებ, მილანში ნაყიდი **ბასანოეები** არავინ მოგპაროს“; „**ბასანოეები** ორთოპედთა მიერ დაშვებულია მხოლოდ 8 წლიდან“; „ყველას **ბასანოეები** ეცვა, წვიმას ვერ გადაურჩნენ“.

სიტყვა **ბასანოეები** ბრჭყალებში ჩასმულიც გვხვდება გარკვეულ კონტექსტებში, მაგ.: „ზაფხულში თხელი სარაფნითა და იაფფასიანი **„ბასანოეებითა“** მშვენივრად გრძნობს თავს“; „ეს **„ბასანოეები“** მომავალი ზაფხულისათვის გამოუსადეგარია“...

აღსანიშნავია, რომ სიტყვას **ბასანოეი** არცთუ იშვიათად წინ უძღვის სიტყვა „ეგრეთწოდებული“, მაგ.: „მან **„ეგრეთწოდებული“ ბასანოეებით** მთელი პლაჟი შემოიარა“; „**„ეგრეთწოდებული“ ბასანოეები** ზაფხულის წვიმაში სულ გაუფუჭდა“... რაც იმას ნიშნავს, რომ მთქმელს (ანუ – ვინც ეს სიტყვა ჩასვა ბრჭყალებში ან კიდევ, ვინც ამ სიტყვას წინ წაუმძღვარა „ეგრეთწოდებული“) უგრძნია **ბასანოეის** მიუღებლობა, ბარბარიზმობა, მაგრამ არ იცის, რით შეცვალოს იგი.

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მიერ მომზადებულ ნაშრომში – „მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“ – სიტყვა **ბასანოეი** აკრძალულია და შემოთავაზებულია – **მაშია**.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (V ტ.) **მაშია** შემდეგნაირად განიმარტება: 1. ქალის საზაფხულო ფეხსაცმელი, უცხვირო და უქუსლო, იხმარება ე. წ. „ბოსონოეის“ მნიშვნელობით, მაგ.: „ტახტის წინ აწყვია მოურავის მაშიები“ (ვ. ბარნ.); 2. ქოშის მსგავსი ფეხსაცმელი, სარმუზა (საბა), წულა (დ. ჩუბ.), მაგ.: „მაღალქუსლიანი მაშიები მინდა მეცვას“ (ვ. ბარნ.).

სიტყვა **ივენთი** სულ ახლახან შემოვიდა ინგლისურიდან თანამედროვე ქართულში და განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი ახალგაზრდების მეტყველებაში.

სიტყვას **ივენთი** ინგლისურში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. event – მოვლენა; მნიშვნელოვანი ფაქტი; 2. international events – საერთაშორისო მოვლენები; 3. seismic event – სეისმური მოვლენა; 4. შეიძლება აღნიშნავდეს შემთხვევას (in the event of his death – მისი სიკვდილის შემთხვევაში); 5. საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენა/ღონისძიება, თავყრილობა; 6. formal event – ოფიციალური ღონისძიება; 7. სპორტში – შეჯიბრება (ერთი სახეობის სპორტული შეჯიბ-

რების პროგრამაში); 8. ფიზიკაში – გარდაქმნა; 9. nuclear event – ბირთვული გარდაქმნა.

თანამედროვე ქართულში სიტყვა **ივენტი** (event) **ღონისძიების** მნიშვნელობით გამოიყენება, მაგ.: „დაგეგმეთ თქვენი საქორწილო **ივენტი** ჩვენი დახმარებით“; „ქუთაისში უფასო სტუდენტური **ივენტი** მოეწყო“; „იდეის ავტორების აზრით, აღნიშნული **ივენტი** ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას“; „საჰაერო გადაღება შესაძლებლობას მოგცემთ აჩვენოთ სპორტული **ივენტი** მთელი თავისი დიდებით“; „თუმცა არის კიდევ ერთი ძალიან მყვირალა **ივენტი**, რომლის შესახებ ჯერ არაფერი იცით“...

ზემოაღნიშნულ ლექსიკონში **ივენტი** აკრძალულია – [ივენტი კი არა] **ღონისძიება**.

სიტყვა **სენსიტიური** (sensitive) ინგლისურიდან შემოვიდა ქართულში და ძალიან მოდურად გახდა, მაგ.: „ეს თემა უფრო **სენსიტიური** გახდა შესაბამისად საქართველოსა და უკრაინის მიმართ“; „თითოეული ისტორია უკიდურესად **სენსიტიური** და ემოციურია“; „ასტროლოგებს მიაჩნიათ, რაც მეტია ადამიანში **სენსიტიური** ნიშნების გავლენა, მით უფრო მძაფრია მუსიკისადმი დამოკიდებულებაც“.

სენსიტიური თანამედროვე ქართულში ნიშნავს **მგრძობიარეს, მგრძობელობითს, შეგრძნებითს, ფაქიზს**. **სენსიტიური** აშკარად ბარბარიზმია.

ზემოთ წარმოდგენილი კონტექსტები შემდეგნაირად უნდა გაიმართოს: „ეს თემა უფრო **ფაქიზი** გახდა შესაბამისად საქართველოსა და უკრაინის მიმართ“; „თითოეული ისტორია უკიდურესად **ფაქიზი** და ემოციურია“; „რაც მეტია ადამიანში **შეგრძნებითი** (თუ მგრძობელობითი) ნიშნების გავლენა, მით უფრო მძაფრია მუსიკისადმი დამოკიდებულებაც“...

მაგალითები ცხადყოფს, რომ **სენსიტიურს** ენაცვლება **ფაქიზი** და **მგრძობელობითი**ც სხვადასხვა კონტექსტში.

აღსანიშნავია ისიც, რომ არცთუ იშვიათად თანამედროვე ქართულში **სენსიტიურის** პარალელურად იყენებენ სიტყვას **მოწყვლადი**, რომელსაც ზოგჯერ (გარკვეულ კონტექსტში) – და არა ყოველთვის – იგივე მნიშვნელობა აქვს, მაგ.: „ქალები საერთაშორისო სამართლით **მოწყვლად** ჯგუფად ითვლება“. აქ **მოწყვლადი** „სენსიტიურის“ (= მგრძობიარე) მნიშვნელობითაა გამოყენებული, რასაც ვერ ვიტყვით შემდეგ კონტექსტებზე: „სამხედრო, კომერციული თუ სხვა

სახის პროექტები უფრო და უფრო **მოწველადი** ხდება“; „ეს საკითხი **მოწველადია** და უზენაესმა სასამართლომ უნდა განიხილოს“... ამ მაგალითებში კი სიტყვა **მოწველადი** „მტკივნეულის“ სემანტიკას გამოხატავს.

წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები (**ბასანოჟკი, ივენტი, სენსიტიური**) ბარბარიზმებს წარმოადგენენ.

ლიტერატურა

არაბული 2008 – ა. არაბული, „ქართული მეტყველების კულტურა“, თბილისი.

ქეგლი V 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბილისი.

მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის 2016, თბილისი.

Maka Labartkava

Barbarisms in Modern Georgian

Summary

The paper analyzes some foreign words *basanožki* "sandals", *iventi* "event", *sensitiuri* "sensitive". All the three words are undoubtedly barbarisms. Each word has an equal matching in the Georgian language. Thus, we should use the word *mašia* instead of *basanožki*, *yoniszeba* instead of *iventi* and *mgrznobelobiti* instead of *sensitiuri*. In certain contexts, the word *moçqladi* can replace the lexical unit *sensitiuri*.